DEBATES ON EUROPE

დებატები ევროპაზე თბილისი 2026

12-13 ივნისი

განათლებისთვის
for education

მეცნიერებისთვის
for science

თავისუფლებისთვის
for freedom

დებატები ევროპაზე – თბილისი 2026

12-13 ივნისი

2026 წლის ივნისში „დებატები ევროპაზე – თბილისი 2026 “ საქართველოში, თბილისში იწვევს ცნობილ მოაზროვნეებს თავისუფლების, ისტორიისა და დემოკრატიის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობისთვის. რა ადგილი უკავია საქართველოს ევროპის წარსულში, აწმყოსა და მომავალში?
შემოგვიერთდით, ერთად ვიმსჯელოთ!

პარასკევი, 12 ივნისი

საჯარო დისკუსიები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

15:30–17:00

მისასალმებელი სიტყვით წარდგებიან:

ნინო დობორჯგინიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ზანე რუნგულე, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის საქმეთა დროებითი რწმუნებული

კარლ ჰენრიკ ფრედრიკსონი, პროგრამის „დებატები ევროპაზე“ დირექტორი (შვედეთი/ავსტრია)

ფიქრი, საუბარი და წერა ზეწოლის ქვეშ – აკადემიური თავისუფლება

პანელური დისკუსია სიტყვის თავისუფლების შესახებ. მთელ ევროპაში ირღვევა ფუნდამენტური დემოკრატიული თავისუფლებები, გამონაკლისს არც აკადემიური თავისუფლება წარმოადგენს – იქნება ეს ეკონომიკური თუ პოლიტიკური ზეწოლა, სტრუქტურული რეფორმები თუ „გამოსადეგი ცოდნის“ უპირატესობა „კრიტიკულ აზროვნებაზე“, სკოლები და უნივერსიტეტები თავდასხმის ობიექტები ხდებიან. ქართველი და საერთაშორისო მეცნიერები იმსჯელებენ მიმდინარე საფრთხეებსა და მათ ისტორიულ წინაპირობებზე, არსებობს თუ არა აკადემიური და საგანმანათლებლო სისტემის დაცვის სტრატეგიები?

მოდერატორი:

ფოლკერ ვაიქსელი (ჟურნალ Osteuropa-ის რედაქტორი, გერმანია)

მომხსენებლები:

გიგა ზედანია (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი კვლევების ცენტრის დირექტორი, საქართველო)
დუბრავკა სტოიანოვიჩი (ბელგრადის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი, სერბეთი)
ჟოფია ბანი (მწერალი და მოჰოლი-ნაგის ხელოვნებისა და დიზაინის უნივერსიტეტის ვიზუალური კულტურის კვლევების ასოცირებული პროფესორი, უნგრეთი)

18:30

კარლ შლიოგელის მთავარი მოხსენება „ევროპის ისტორიისა და დღევანდელობის ახლებური გააზრება“

გერმანელი ისტორიკოსი, გერმანული წიგნის ინდუსტრიის მშვიდობის პრემიის მფლობელი კარლ შლიოგელი ისაუბრებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლა და რუსეთის ომები უკრაინასა და საქართველოში მოითხოვს ევროპის ისტორიისა და დღევანდელობის რადიკალურ გადაფასებას; მეტიც, ეს მოვლენები ხელახალ გააზრებას საჭიროებს, თუ გვინდა, რომ სიმართლეს მივუახლოვდეთ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი კარლ შლოგელს საპატიო დოქტორის წოდებას მიანიჭებს.

19:30-20:30

ამბის დეცენტრალიზაცია, ისტორიის ხელახლა დაწერა

პანელური დისკუსია

რას ნიშნავს დეკოლონიზაცია და რეცენტრირება აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცისთვის? ბოლო წლებში სულ უფრო მეტად თანხმდებიან, რომ აუცილებელია ყურადღების გამახვილება რუსეთის კოლონიურ ისტორიასა და მიმდინარე იმპერიულ პრაქტიკებზე. ცნობილი ისტორიკოსები იმსჯელებენ, როგორ უნდა გავიაზროთ ეს პოლიტიკური და კულტურული იმპერიალიზმი და რა ისტორიები წაშალა ან გარიყა მან. რა ხდება, როცა აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა კულტურა აღარ განიხილება როგორც მეორეხარისხოვანი – არც რუსეთის, არც დასავლეთ ევროპის მიმართ – და აღიარებულია ევროპის ისტორიის არსებით, განუყოფელ ნაწილად?

მოდერატორი:

ზაალ ანდრონიკაშვილი (ლიტერატურათმცოდნე, ავტორი, ლაიბნიცის ლიტერატურისა და კულტურის კვლევების ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანია/საქართველო)

მომხსენებლები:

კარლ შლიოგელი (ისტორიკოსი, მწერალი, აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის ემერიტუს-პროფესორი, ვიადრინის ევროპული უნივერსიტეტი, ოდერის ფრანკფურტი, გერმანია)
პეტერ ენგლუნდი (ისტორიკოსი და მწერალი, შვედეთის აკადემიის წევრი, შვედეთი)
ნუცა ბათიაშვილი (ანთროპოლოგიის პროფესორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი, საქართველო)

შაბათი, 13 ივნისი

მიხაილ ჰვორეცკის საჯარო გამოსვლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

19:00–20:30

თბილისის სიტყვა ევროპას

წამყვანი სლოვაკი მოაზროვნე, **მიხალ ჰვორეცკი**, საქართველოს დედაქალაქიდან მიმართავს ევროპას. ევროპა ბევრისთვის არ არის მხოლოდ გეოპოლიტიკური აქტორი, არამედ – განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული პერიფერიიდან დანახული – თავისუფლების, სამართლიანობისა და ღირსების სიმბოლოა. ამავდროულად, ამერიკის შეერთებული შტატებისნაირ ძველ და უმნიშვნელოვანეს პარტნიორთან მზარდი დისტანცირების, რუსეთიდან მომდინარე საფრთხისა და ახალი, მკვეთრად გამოხატული ნაციონალიზმის აღზევების ფონზე, ევროპა საკუთარი თავის ხელახლა განსაზღვრის ამოცანის წინაშე დგას. შესაძლოა, საქართველო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უმკლავდებოდა იმპერიულ საფრთხეს და ყოველთვის ახერხებდა თავიდან დაწყებას, არის ის ადგილი, საიდანაც ევროპა უკეთ გაიაზრებს საკუთარ გზას.

ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ლიტერატურული ხმა საუბრობს იმაზე, რას ნიშნავს ევროპა დღეს და რა ძალისხმევაა საჭირო მის დასაცავად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის B201 დარბაზი
ი.ჭავჭავაძის გამზ. 32

2012 წლიდან, დაარსების დღიდან, „დებატები ევროპაზე“ სტუმრობდა ისეთ ქვეყნებს, სადაც ევროპის იდეა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია და გამოწვევის წინაშე დგას. საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმებზე განიხილავს ევროპის დღის წესრიგის ყველაზე აქტუალურ საკითხებს და ხელს უწყობს კულტურულ და სოციალურ თემებზე თავისუფალ და ღია დებატებს. 2026 წელს დებატებს თბილისი მასპინძლობს.

S. FISCHER STIFTUNG
DEUTSCHE AKADEMIE FÜR SPRACHE UND DICHTUNG
ZfL LEIBNIZ-ZENTRUM FÜR LITERATUR- UND KULTURFORSCHUNG
საქართველოს წიგნის ასოციაცია GEORGIAN BOOK ASSOCIATION
PEN GEORGIA
Co-funded by the European Union
Embassy of the Federal Republic of Germany Tbilisi
შვედეთი Sverige
SCEEUS STOCKHOLM CENTRE FOR EASTERN EUROPEAN STUDIES
Stiftung Gottfried Michelmann
STIFTUNG WEST-ÖSTLICHE BEGEGNUNG WEST-EASTERN ENCOUNTERS FOUNDATION
GLS Treuhand
voxeurop